

სიღარიბის ფსიქოსოციალური შედეგები

¹ანასტასია ქიტიაშვილი

²ნაზი ფარსადანიშვილი

¹ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,

²ასისტენტ პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ბ, მე-3 კორპუსი, 0179 თბილისი, საქართველო

ანოტაცია

სტატიის მიზანია სიღარიბის ფსიქოსოციალური შედეგების განხილვა. შესაბამისად, მიმოხილულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურა და კვლევები; გაანალიზებულია საქართველოში სიღარიბეში მცხოვრებ 40 ბავშვთან ჩატარებული კვლევის მეორადი მონაცემები. სტატიაში წარმოდგენილი თეორიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა სიღარიბის მრავალმხრივი ნეგატიური გავლენა ადამიანების სოციალურ, ემოციურ, შემეცნებით მდგომარეობასა და ქცევით ფუნქციონირებაზე. ამასთან ერთად, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში გამოვლინდა აკადემიური სირთულეები და სოციალური კავშირების ნაკლებობა, თანატოლებისგან დისტანცირება, სიღარიბის გამო სირცხვილის, შიშის განცდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ფსიქოსოციალური შედეგები, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ართულებს სიღარიბისაგან თავის დაღწევას. სტატიაში ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს ფსიქოლოგიური კვლევების შედეგების გამოყენება სიღარიბის შემცირების მიზნით სოციალური ინტერვენციების დანერგვისას.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე, ფსიქოსოციალური შედეგები, ბავშვები

1. შესავალი

სიღარიბე პირველ რიგში მატერიალურ და ფინანსურ პრობლემებთან ასოცირდება, თუმცა, სულ უფრო მეტი კვლევა ადასტურებს, რომ სიღარიბეს მოჰყვება ისეთი უარყოფითი ფსიქოლოგიური შედეგები, როგორცაა გაზრდილი სტრესი, შფოთვა, სტიგმის, სირცხვილის განცდა, სოციალური დეპრივაცია და სხვა. ამ შედეგების გაცნობიერება მნიშვნელოვანია სიღარიბის შემცირების ეფექტური ინტერვენციების განხორციელებისას. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით არის შესაძლებელი სიღარიბის შემცირება; ბევრი სხვა ფაქტორი, როგორცაა სისტემური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სიღარიბის შემცირებაზე. თუმცა, ფსიქოლოგიური შედეგების გათვალისწინებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ინტერვენციების ეფექტურობა. ამის გამო ევროპაში, სოციალური კეთილდღეობის სისტემის რეფორმისას, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების ინდივიდუალურ მობილიზებას, მათ მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობას და ადამიანური რესურსებით გამდიდრებას.

სიღარიბის ბევრი განმარტება არსებობს, რომელთაგან ნაწილი ეკონომიკურ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს, ნაწილი კი სოციალურ კონტექსტზე. მოცემული სტატია

ეყრდნობა ამარტეა სენის განმარტებას, რომლის მიხედვით, სიღარიბე შესაძლებლობების დეპრივაციას ნიშნავს (Sen, 1995). სიღარიბისას ადამიანი განიცდის იმ „შესაძლებლობების“ სიმწირეს, რაც მისი განვითარებისათვის, დამოუკიდებელ ინდივიდად ფორმირებისათვისაა აუცილებელი. „შესაძლებლობებში“ იგულისხმება როგორც გარე რესურსები, ასევე პიროვნულიც - ადამიანური და სოციალური კაპიტალი (Sen, 2001).

სტატის მიზანია სხვადასხვა კვლევის შედეგის მიმოხილვა, რომელიც ამტკიცებს ჰიპოთეზებს იმის შესახებ, რომ სიღარიბეს შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგები; ეს ქცევები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ისეთი ეკონომიკური ქცევების განხორციელებას, რომლებიც სიღარიბიდან თავის დაღწევას უშლის ხელს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვუერთდებით აღნიშნული საკითხის შესახებ ჩატარებული კვლევების სხვა ავტორებს და ხაზს ვუსვამთ, რომ სიღარიბის შენარჩუნებაში ფსიქოლოგიური ასპექტების როლის აქცენტირებით არ უნდა ხდებოდეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების დადანაშაულება. ცხადია, სიღარიბის გარემოა მთელი იმ პროცესების ბიძგის მიმცემი, რაც მის განმტკიცებას განაპირობებს (Haushofer & Fehr, 2014). ამასთანავე, სიღარიბის ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგების ანალიზის მემშვეობით სტატია მიზნად ისახავს, გამოიყოს ის ძირითადი მიმართულებები, რაც სოციალური პოლიტიკის დონეზე ღარიბთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად ინტერვენციების დაგეგმვას საჭიროებს.

1. სიღარიბის გავლენა სუბიექტურ კეთილდღეობაზე: სოციო-ემოციური შედეგები

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ბედნიერება უკავშირდება შემოსავლების თანასწორობას. გარკვეული კვლევებია ჩატარებული სიღარიბესა და ბედნიერებას შორის კავშირის შესახებაც. ისმის კითხვა, ღარიბი ადამიანები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე შეძლებულები? რიჩარდ იმტერლინმა დაადგინა, რომ კარგად ყოფნა შედარებითი სიღარიბის ფუნქციაა (Easterlin, 2017). აშშ-ში შემოსავლებისა და განათლების მაღალი დონე ცხოვრებით კმაყოფილებას უკავშირდება. ღარიბ ადამიანებს კი ბედნიერების უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონეთ. აღსანიშნავია, რომ ბედნიერება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან კავშირშია ცხოვრებით კმაყოფილებასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა სტივენსონისა და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევები (Stevenson & Wolfers, 2008; Sacks et al., 2010, 2012), რომლითაც დადასტურდა ბედნიერებასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის კავშირი სხვა ქვეყნებშიც.

სიღარიბე არა მხოლოდ ეკონომიკურ სტატუსს უკავშირდება, არამედ უფრო მეტად გამოხატავს დაქვემდებარებულ პოზიციას სოციალურ იერარქიაში (Redmond, 2014). ხშირად ადამიანები თვითონ კი არ განსაზღვრავენ იმას, თუ საზოგადოების რომელ სოციო-ეკონომიკურ ფენას მიეკუთვნებიან, არამედ რეალურ სამყაროში არსებული ჯგუფებად დაყოფის პრინციპი (მაგალითად, „ღარიბები“ ან „მდიდრები“) სთავაზობს მათ თვითგანსაზღვრის მზა დეტერმინანტს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სოციალური კატეგორიები, როგორც სოციალური სტრუქტურის სტაბილური კომპონენტები, ინდივიდებს ჩამოყალიბებული სოციალური იდენტობით უზრუნველყოფს (Akfirat, Polat & Yetim, 2016). ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ რომელიმე პიროვნება ან ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ავტომატურად აქცევს მათ საზოგადოების დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონეთა (ღარიბთა)

ჯგუფში. ამას გარდა, სიღარიბესთან დაკავშირებული სტიგმაც მიემართება ღარიბებს, როგორც სოციო-ეკონომიკური იერარქიული სტრუქტურის გარკვეულ ჯგუფს (ფარსადანიშვილი, 2020). შედეგად, სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებს აქვთ ნაკლები სოციალური მხარდაჭერა და ურთიერთობები, რაც იწვევს მარტოობის განცდას (Hawthorne, 2006; LaVeist et al., 1993). კვლევები ადასტურებს სიღარიბესა და სოციალური გარიყულობის სუბიექტურ განცდას შორის კავშირს, რაც მნიშვნელოვანი ნეგატიური გამოცდილებაა. ტვინის ფუნქციონირების შესწავლამ აჩვენა, რომ სოციალური იზოლაციის "ტკივილი" აქტიურებს ტვინის იმ უბნებს, რომლებიც აქტიურდება ფიზიკური ტკივილისას (Eisenberger, Liberman and Williams, 2003).

საქართველოში სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ჯგუფის წევრებზე ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ სიღარიბეში მცხოვრები ეს ადამიანები მტკივნეულად აღიქვამენ მათ მიმართ არსებულ მასტიგმატიზებელ დამოკიდებულებებს (ქიტიაშვილი, & ფარსადანიშვილი, 2018; ფარსადანიშვილი, 2020). თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი მიუთითებენ საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან გარიყვის, მათთვის კონტაქტისათვის თავის არიდების შემთხვევებზე. ასეთ სოციალურ ექსკლუზიას კი უკავშირებენ ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრებას, დაბალ სოციოეკონომიკურ სტატუსს და ფულისა თუ სხვა მატერიალური ნივთების არქონას („*არიან ისეთი ხალხი, აი, არა აქვს და დასცინიან. რამდენჯერ ბავშვი მოსულა ტირილით. ამის კლასში ყოფილა, რომ არა აქვს, მოდი, არ დავუძახოთ. რამდენჯერ ბავშვი მოსულა ტირილით. მეთქი აუხსენი შვილო, რომ ეს არ არის სასაცილო. არა მაქვს?! რა უნდა დავცინონ ან რაღაცა“.* მდედრ, 44 წლის).

აღსანიშნავია ნორვეგიელ მოზარდებთან ჩატარებული კვლევის შედეგებიც, რომლის თანახმად, რაც უფრო დაბალია ოჯახის ეკონომიკური სტატუსი, მით უარესია თანატოლებთან ურთიერთობა, მაღალია აღქმული სოციალური გარიყულობა, ბულინგისა და შევიწროვების ალბათობა (Veland & Idsøe, 2015). ასევე, ზოგადად, დაბალია სიღარიბეში მცხოვრები მოზარდების საზოგადოებაში ჩართულობის/მიკუთვნებულობის განცდა.

გასათვალისწინებელია ის მძიმე ემოციური შედეგებიც, რასაც სიღარიბეში ცხოვრება უკავშირდება. საქართველოში სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები მიუთითებენ სირცხვილის, თავმოყვარეობის შელახვისა და საკუთარი თავის „დაბალ დონეზე“ დაცემასთან დაკავშირებულ განცდებზე, რაც, თავის მხრივ, სტიგმის ინტერნალიზაციაზე მიუთითებს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სტიგმის აღქმის შედეგად განვითარებული ნეგატიური ემოციები დამთრგუნველად უნდა მოქმედებდეს პიროვნების თვითშეფასებაზე. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ქრისტინა მიკელსონისა და სტესი უილიამსის (2008) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც, სიღარიბის სტიგმის ინტერნალიზებასა და დეპრესიას შორის კავშირი ნაწილობრივ იყო გაშუალებული თვითშეფასებისა და უარყოფის შიშის ცვლადებით (Mickelson & Williams, 2008; ფარსადანიშვილი, 2020).

ბოლოდროინდელ კვლევებში დაიწყეს ისეთი დამატებითი ცვლადების შესწავლა, როგორც კონტროლის ლოკუსი, მოტივაცია, პროსოციალური დამოკიდებულება, ნდობა და მარტოობა. ღარიბ ადამიანებთან დაფიქსირდა უფრო მაღალი შინაგანი კონტროლის ლოკუსი, დაბალი შინაგანი მოტივაცია, ნაკლები პროსოციალური დამოკიდებულება და ნდობა, რაც, ბუნებრივია, მათ სოციალურ დისტანცირებას უწყობს ხელს. შესაბამისად კი, იზრდება ღარიბი ადამიანების მარტოობის მაჩვენებელი (Haushofer, 2013).

ზემოთ აღწერილი სოციოემოციური ასპექტების სიღარიბისგან თავის დაღწევის მცდელობებზე გავლენის ანალიზისას საგულისხმოა საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის ფარგლებშიც შეისწავლეს ინდივიდუალური მობილობა (Tajfel & Turner, 1981), როგორც სიღარიბისაგან თავის დაღწევის აქტიური, პრობლემაზე ფოკუსირებული სტრატეგია. აღმოჩნდა, რომ სოციალურად დაუცველთა ჯგუფთან მიკუთვნებულობას პრედიქტორული ღირებულება აქვს ინდივიდუალური მობილობის ცვლადისათვის, თუმცა, მათ შორის კავშირი გაშუალებულია ინდივიდუალური თვითშეფასების ცვლადით. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალურად დაუცველთა სტატუსის მქონე ჯგუფთან იდენტიფიკაციის დაბალი ხარისხისას მაღალია ინდივიდუალური თვითშეფასების დონე. თავის მხრივ, მაღალი ინდივიდუალური თვითშეფასებისას კი, ასევე, მაღალია ინდივიდუალური მობილობის სტრატეგიის გამოყენება (ფარსადანიშვილი, 2020). აღნიშნული შედეგი აჩვენებს, რომ ღარიბთა ჯგუფთან იდენტიფიკაციისას დაბალი თვითშეფასების განვითარების ფონზე შეიძლება შეიზღუდოს მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფში გადასვლის მცდელობები.

2. სიღარიბის შედეგები შემეცნებით პროცესებზე

ნაკლებად არის შესწავლილი სიღარიბის გავლენა ისეთ შემეცნებით პროცესებზე, როგორცაა ყურადღება, მეხსიერება. თუმცა, არსებობს მონაცემები, რომ უკვე 3 წლის ასაკში, ღარიბი ოჯახის ბავშვები მთელი წლით ჩამორჩებიან თანატოლებს კოგნიტური და სოციალური განვითარებისა თუ სკოლისათვის მზაობის მაჩვენებლით (Dobson & Middleton, 1998).

სიღარიბემ შესაძლოა შემეცნებით ფუნქციებზე გავლენა სხვადასხვა გზით მოახდინოს. შემეცნებითი ფუნქციების რესურსი შეზღუდულია, რომელიც შესაძლოა კიდევ უფრო შეიზღუდოს სიღარიბესთან დაკავშირებულ პრობლემებზე მუდმივი ფიქრის გამო (Schilbach, Schofield and Mullainathan, 2016). გარდა ამისა, სიღარიბემ შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ქცევაზედაც, ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, მათ შორის სტრესსა და დეპრესიაზე, გავლენის გზით (Haushofer and Fehr, 2014).

ლაბორატორიული და საველე კვლევები გვიჩვენებს, რომ სიღარიბეში შემეცნებითი რესურსები იზღუდება, რაც ხელს უშლის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას და სიღარიბის დაძლევას. სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები ხშირად მწირ ფინანსებს და სოციალურ შემწეობას ვერ განკარგავენ რაციონალურად და იღებენ რისკიან გადაწყვეტილებას (Bullock, Williams & Limbert, 2003; Clery et al., 2013). გასათვალისწინებელია, რომ მშობლებმა შეიძლება ვერ შეძლონ სრულად ფოკუსირდნენ თავიანთ სამუშაოზე, თუ სახლში პრობლემებზე ფიქრობენ, ხოლო სტრესში მყოფმა მშობლებმა შეიძლება ვერ შენიშნონ სახლში ბავშვის ავადმყოფობის სიმპტომები, პრობლემები და ა.შ. სიღარიბე არა მხოლოდ ამ მიმართულებით ახდენს გავლენას კოგნიციაზე, არამედ ცვლის წიგნიერებისა და აკადემიური მიღწევების მაჩვენებლებსაც (Borella et al., 2010; Duncan et al., 2007).

მოლანინათანის (2011) მიხედვით სიღარიბით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესი ხელს უწყობს ისეთი არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას, როგორცაა ვალის აღება და რესურსების არასწორი გადანაწილება. სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები ნაკლებად იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სამომავლო ფინანსურ მოგებაზეა ორიენტირებული, რაც ართულებს სიღარიბისგან თავის დაღწევას (Haushofer & Fehr, 2014). მათ შეიძლება მიიღონ მცდარი და ნაჩქარევი


გადაწყვეტილებები, რაც ხელს უშლის სიღარიბის დაძლევას, მაგალითად საბანკო კრედიტების აღება. სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები იმდენად დიდ ყურადღებას აქცევენ ყოველდღიურ პრობლემებს, რომ მათ აღარ ჰყოფნით რესურსები სამომავლო აქტივობების დასაგეგმად ან მათი მიზანშეწონილობის შესაფასებლად.

გასათვალისწინებელია მარტინ სელიგმანის (1976) „დასწავლილი უმწეობის“ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სიღარიბეში მცხოვრებმა ადამიანებმა შეიძლება დაისწავლონ და გაიშინაგონ, რომ არ შეუძლიათ წარმატების მიღწევა, რაც, თავის მხრივ, ასევე, ემოციური დისტრესის წყარო შეიძლება გახდეს.

საინტერესოა, ასევე, მოლანათანისა (2011) და მისი კოლეგების მიერ ჩატარებული სავსე კვლევა, რომელმაც აჩვენა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანებისათვის მათი გეგმებისა და სურვილების შეხსენებას. მონაწილეები ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ დანაზოგების პროგრამაში. ის, ვინც მიიღო შემახსენებელი შინაარსის ტექსტური შეტყობინება, 6% -ით მეტი დანაზოგი შექმნა, ვიდრე მათ, ვინც არ მიიღო ეს შეტყობინება. ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ რაიმე განზრახვა, მაგრამ ვერ განახორციელონ შესაბამისი ქცევა უბრალოდ დავიწყების გამო. მიზნის შეხსენებამ და მასზე ყურადღების ფოკუსირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მიზნის მიღწევას. ყურადღების შერჩევითი გავლენა ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებისას, დამხმარე სერვისებზე წვდომისას; ინფორმაციულ სიჭარბეში მნიშვნელოვანია ადამიანმა გადაწყვიტოს, რა ინფორმაცია სჭირდება ყველაზე მეტად. აღსანიშნავია, რომ სოციალური იზოლაციისა და გარიყულობის პირობებში, დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ჯგუფის წევრები, მაღალი სტატუსის მქონე ჯგუფებისგან განსხვავებით, შეიძლება მოკლებული იყვნენ აღნიშნულ შესაძლებლობასაც.

3. სიღარიბის შედეგები ბავშვებში

სიღარიბე საქართველოს ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა. ბოლო 5-6 წლის მანძილზე, შეიმჩნევა მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებლების გაუმჯობესების ტენდენცია განსაკუთრებით პანდემიამდე პერიოდში, თუმცა ის მაინც მაღალია.



დიაგრამა.1. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი, საქსტატი

უკიდურესი სიღარიბის ზღვრად საქართველოში მიჩნეულია დღეში 1.25 აშშ დოლარი, რაც ერთ ზრდასრულ პირზე თვეში საშუალოდ 35 აშშ დოლარს (82.8 ლარს) შეესაბამება. საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს მოსახლეობის 21.3 % (საქსტატი, 2021), ხოლო ჯინი კოეფიციენტი არის 37% (2020), რაც მაღალ უთანასწორობას აჩვენებს.

საქართველოს სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ფარგლებში არსებობს ფულადი დახმარება „სოციალურად დაუცველის“ სტატუსის მქონე ოჯახებისთვის. საარსებო შემწეობა ფულად დახმარებაში გამოიხატება. აღნიშნული დახმარების მიმღები ოჯახები სპეციფიკურ და მკვეთრად განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს ქმნიან, რომელიც საზოგადოებაში სპეციალური სახელით - „სოციალურად დაუცველებით“ - არიან ცნობილი.

2018 წელს თბილისში სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებთან ჩატარებულ თვისებრივ კვლევაში მონაწილეობდა 12-17 წლამდე ასაკის 40 მოზარდი (22 გოგო და 28 ბიჭი). კვლევის მეორადი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვები მიუთითებენ სიღარიბის ნეგატიურ გავლენაზე მათ აკადემიურ მიღწევებზე. 40 ბავშვიდან მხოლოდ 2-მა აღნიშნა, რომ 8-9 ქულებს იღებდა სკოლაში; დანარჩენებს 8 ქულაზე მეტი არ დაუსახელებიათ. მსგავსი შედეგები არაერთ საერთაშორისო კვლევაშიც გამოვლინდა (Gilbert, 1997; Bergeson, 2006), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვებს აკადემიური წარმატებისათვის დამატებითი სერვისები და დახმარება სჭირდებათ სკოლის თუ სისტემის დონეზე. მოსწავლეებს სჯერათ, რომ მაღალი ნიშნების მიღებისა და კარგი განათლებისთვის აუცილებელია რეპეტიტორებთან მომზადება, რისი შესაძლებლობაც მათ არ აქვთ ეკონომიკური პრობლემების გამო. (*ჩემს კლასში ვინც ემზადება, მათ აქვთ მარტო მაღალი ნიშნები. მე ვერ ვემზადები, დედას ამის ფული არ აქვს*”, 16 წლის ბიჭი).

კვლევამ აჩვენა, რომ ზედა კლასის მოსწავლეებს მოსწონთ ისეთი პროფესიები, როგორცაა ექიმი, მენეჯერი, ბიზნესის ადმინისტრირება, თუმცა, ფიქრობენ რომ ისინი ამ პროფესიებს ვერ დაეუფლებიან და უფრო რეალისტურად მიაჩნიათ ისეთი ხელობები, როგორცაა მუშა, შემდუღებელი, მკერავი და ა.შ. მათ მიაჩნიათ, რომ პროფესიული განათლება უფრო შეესაბამებათ, ვიდრე უმაღლესი, რადგან უმაღლესი განათლება უფრო პრესტიჟულია და რთულია მასზე ჩაბარება (*საქართველოში „ამერიკული ოცნება“ არ არსებობს. გაგივიათ ძალიან ღარიბი ადამიანი ძალიან წარმატებული გამხდარიყოს? ანდა ძალიან მდიდარი? მე არა*“, 17 წლის გოგო).

ელდარ შაფირის მიხედვით სიღარიბე დიდწილად ემოციური მდგომარეობაა (Shafir, 2012). საზოგადოება აყალიბებს აზრს, რომ ღარიბი ადამიანები იმიტომ არიან ღარიბები, რომ ისინი საკმარისად კარგები არ არიან. ეს ქმნის არასრულფასოვნების გრძნობას, ვინაიდან ძალიან ადვილია სიღარიბეში მცხოვრები ადამიანებისთვის ამგვარი აზროვნების მიღება.


არასრულფასოვნების განცდა და დაბალი თვითშეფასება ბავშვების ნარატივშიც ვლინდება; ბავშვები გამოხატავენ სიღარიბესთან დაკავშირებულ უარყოფითი ემოციებს, შიშს, შფოთვის, სირცხვილს. ისინი უარყოფითად აფასებენ როგორც „ღარიბთა ჯგუფს“, ასევე, საკუთარ თავს, რადგან საკუთარ თავს ღარიბთა ჯგუფთან აიგივებენ. მათ სჯერათ, რომ სხვა, არაღარიბი ბავშვები უფრო ლამაზები, ჭკვიანები არიან და უფრო წარმატებულები იქნებიან მომავალში. ბავშვები თხრობისას ხშირად მიუთითებენ: „ჩვენ ხო ღარიბები ვართ“, „ჩვენ ძალიან გვიჭირს“, „ღარიბი ვარ“.

მშობლებს უჭირთ ბავშვებისთვის ისეთი ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორცაა კვება, ჩაცმა თუ თამაში. ბავშვებს განსაკუთრებით აწუხებთ ახალი ტანსაცმლის არქონა (*ნეტა ბარბიანი კაბა მქონდეს, ალბათ გავაფრენდი*“, 12 წლის გოგო; *რაზე ვოცნებობ?! ველოსიპეტზე*“, 13 წლის ბიჭი); ბავშვები მტკივნეულად განიცდიან ფულის ნაკლებობას სკოლაში საჭმლის შესაძენად - *“ბავშვები მიდიან ხოლმე ბუფეტში, მე ვერა*“ (14 წლის გოგო).

აღსანიშნავია, რომ სიღარიბე მასტიგმატიზებული გამოცდილებაცაა მათთვის. ამავე კვლევაში გამოვლინდა სიღარიბეში მცხოვრებ ბევრებს შორის სოციალური კონტაქტების ნაკლებობა თანაკლასელებთან (83%); ბავშვები თანაკლასელებისგან გამოყოფილად გრძნობენ თავს და ნაკლები საერთო აქვთ მათთან ჩაცმულობის, აქსესუარების, მეგობრების, საკვების მხრივ. კიდევ უფრო მწირი კონტაქტები აქვთ თანატოლებთან სკოლის გარეთ; ამის მიზეზად მიაჩნიათ ფინანსური პრობლემები, რის გამოც ისინი ვერ იხდიან დაბადების დღეებს ანდა მიდიან მეგობრებთან ერთად წვეულებებზე. 10 ბალიან სკალაზე, მათ, თანაკლასელებთან საკმაოდ მაღალი დისტანცია დააფიქსირეს, რომელიც 7-ის ტოლია. ეს ყველაფერი მათ შორის კომუნიკაციასა და ურთიერთობას ართულებს.

სიღარიბის ბავშვებზე ზეგავლენაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის მრავალმხრივი ფაქტორები, რომლებიც მშობლების, ოჯახისა და ინსტიტუტების დონეზე არსებობს და ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე. აღნიშნული პროცესების ნეგატიური ზეგავლენა მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, შემეცნებაზე, ემოციურ და ქცევით კომპეტენციებზე კონცეპტუალური ჩარჩოს სახით შეჯამებულია სურათზე №1 (Yoshikawa, Aber & Beardslee, 2012).

სურათი №1. ბავშვებზე სიღარიბის მოქმედების შედეგები (Yoshikawa, Aber & Beardslee, 2012).



4. დასკვნები და რეკომენდაციები

სტატის მიზანი იყო სიღარიბის ფსიქოსოციალური შედეგების განხილვა. არსებული კვლევების მიმოხილვა ადასტურებს სიღარიბის მრავალმხრივ ნეგატიურ გავლენას ადამიანების სოციალურ, კოგნიტურ და ემოციურ მდგომარეობაზე. აღნიშნული კი განაპირობებს ადამიანური რესურსებით „გაღარიბებას“, რაც ართულებს ეფექტიანი ეკონომიკური ქვეყნების განხორციელებას და სიღარიბისაგან თავის დაღწევას.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულმა მეორადმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ბავშვების სიღარიბეში ცხოვრების გამოცდილება ნეგატიურია და ის ვრცელდება მათი ცხოვრების ყველა ასპექტზე, როგორცაა აკადემიური მოსწრება, მიღწევის მოლოდინები, ურთიერთობები თანატოლებთან; ხშირად ეს გავლენა უფრო ფარულია და უკავშირდება სირცხვილს, შიშსა და სტიგმას. ბავშვებს აქვთ არასრულფასოვნების განცდა, დაბალი თვითმეფასება და ბედნიერების განცდა. სიღარიბე გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების პროცესში მათ კოგნიტურ და სოციალურ უნარებზე. დაბალი სოციო-ეკონომიკური ოჯახების ბავშვებში ყველაზე მწვავე ეფექტები გვხვდება მეტყველების, ყურადღების, დასწავლის მიმართულებით; ისინი ხშირად აცდენენ გაკვეთილებს. ეს დეფიციტი სამომავლოდ გავლენას ახდენს აკადემიურ მიღწევაზე, ხოლო მოგვიანებით დასაქმებისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივაზე. კვლევები აჩვენებს, რომ შინამეურნეობის შემოსავალი და დეპრესიული სიმპტომები გავლენას ახდენს ბავშვების სოციალურ კომპეტენციაზე; ბავშვებს უჭირთ საკუთარი და სხვების ემოციების გაგება, ეს მოგვიანებით აძნელებს უფრო რთული წესების დაცვასა და სოციალურ ინტერაქციას, რაც მათ თანატოლებთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს (Winer & Thimpson, 2025).

საქართველოში ნაკლებად ტარდება და გამოიყენება კვლევები, რომლებიც ითვალისწინებს სიღარიბესთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. სიღარიბის მანკიერი წრის დასარღვევად ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად მნიშვნელოვანია ამგვარი კვლევების რეგულარულად ჩატარება და სხვადასხვა ისეთი სოციალური და კულტურული კატეგორიების გათვალისწინება, როგორცაა ეთნიკური კუთვნილება, ასაკი, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობები, მიგრაცია და ა.შ. მნიშვნელოვანია ამ კვლევის შედეგების გამოყენება მტიცებულებაზე დამყარებული პოლიტიკის ჩამოყალიბებისას.

მნიშვნელოვანია, რომ სიღარიბეში მცხოვრები თითოეული ოჯახისათვის შეთავაზებულ იქნას არა მხოლოდ ფულადი სოციალური დახმარება, არამედ ადამიანური რესურსების გაძლიერებაზე ორიენტირებული გეგმები და შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების) მხარდაჭერა. რეკომენდებულია მათთვის პროფესიული გადამზადების უწყვეტი კურსების შეთავაზება და დასაქმების ხელშეწყობა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის წევრებთან მუშაობდნენ კარიერის კონსულტანტები, რომლებიც მათ საგანმანათლებლო და დასაქმებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ გაუწევენ კონსულტირებას და კარიერული გეგმების ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში დაეხმარებიან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მათთვის სოციალური და ემოციური კომპეტენციების ამაღლებაზე მიმართული ტრენინგებისა და პროექტების შეთავაზება.

სიღარიბის მანკიერი წრის გასაწყვეტად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისათვის დამატებითი სერვისების შეთავაზება.

მაგალითად, ფსიქოლოგის კონსულტირება, სოციალური მუშაკის, ახალგაზრდული მუშაკის ჩართულობა თვითშეფასებისა და თვითეფექტურობის გაუმჯობესების, სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარებისა და მიღწევის მოტივაციის გაზრდის მიზნით. ასევე, მნიშვნელოვანია სერვისები, რაც სკოლაში მათ აკადემიურ მოსწრებას შეუწყობდა ხელს. მაგალითად, მათთვის დამატებითი გრანტებისა და სტიპენდიების შეთავაზება.

რეკომენდებულია სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების სოციალური ინკლუზიის გაზრდის მიზნით სპეციალური ღონისძიებების განხორციელება და საზოგადოების სხვა ჯგუფებთან ერთად მათი ჩართვა სხვადასხვა სპორტულ, რეკრეაციულ და კულტურულ აქტივობებში. მნიშვნელოვანია ანტი-სტიგმა კამპანიების იმპლემენტაცია და ჯგუფებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა, რაც სოციალურ დისტანციას, გარიყულობის შეგრძნებასა და აღქმულ სტიგმას შეამცირებს.

სიღარიბე, როგორც მრავალგანზომილებიანი კონსტრუქტი, თავის თავში მოიაზრებს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სოციალური, ემოციური და სხვა სახის რესურსების სიმწირესაც. აღნიშნული ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ მატერიალურ განზომილებაზე აქცენტირება სიღარიბის სოციალური პრობლემის შესამცირებლად ნაკლებად შედეგიანი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] Sen, A. (1995). *The Political Economy of Targeting*. In *Public Spending and the Poor: Theory and Evidence*. D. van deWalle & K. Nead, Eds.: 11–24. Johns Hopkins University Press. Baltimore.
- [2] Sen A. Gender Equity and the Population Problem. *International Journal of Health Services*. 2001;31(3):469-474.
- [3] Haushofer, J., & Fehr, E. (2014). On the psychology of poverty. *Science*, *344*(6186), 862–867.
- [4] Easterlin, Richard A., 2017. "[Paradox Lost?](#)" [Review of Behavioral Economics](#), now publishers, vol. 4(4), 311-339.
- [5] Stevenson, Betsey & Wolfers, Justin, 2008. "[Economic Growth and Subjective Well-Being: Reassessing the Easterlin Paradox](#)," [IZA Discussion Papers](#) 3654, Institute of Labor Economics (IZA).
- [6] Redmond, G (2014) Child Poverty and Social Exclusion, in A Ben-Arieh, F Casas, I Fronces and J Korbin (eds), *The Handbook of Child Well-Being*, Springer, Dordrecht, pp.1387-1426.
- [7] Akfirat, S., Polat, F. Ç., & Yetim, U. (2016). How the Poor Deal with Their Own Poverty: A Social Psychological Analysis from the Social Identity Perspective. *Social Indicators Research*, *127*(1), 413–433.
- [8] ფარსადანიშვილი, ნ. (2020). სტიგმის აღქმის და სოციალური იდენტობის კვლევა საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსახლეობაში. დისერტაცია, თსუ, თბილისი.
- [9] Hawthorne, G. (2006). Measuring social isolation in older adults: Development and initial validation of the friendship scale. *Social Indicators Research*, *77*, 521–548.
- [10] Laveist TA. (1993). Segregation, poverty, and empowerment: health consequences for African Americans. *Milbank Q*, *71*(1):41–64.
- [11] Eisenberger, Naomi I.; Lieberman, Matthew D.; Williams, Kipling D. (2003). "Does rejection hurt? An fMRI study of social exclusion". *Science*. *302* (5643): 290–292.
- [12] ქიტიაშვილი, ა., ფარსადანიშვილი ნ. (2018). “მე ღარიბი ვარ “ - სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების გამოცდილება საქართველოში. GESJ: *Education Science and Psychology* |No.1(47).
- [13] Veland, J., Bru, E. and Idsøe, T. (2015) Perceived socio-economic status and social inclusion in school: parental monitoring and support as mediators, *Emotional and Behavioural Difficulties*, *20*(2), pp. 173–88.

- [14] Mickelson, K. D., & Williams, S. L. (2008). Perceived Stigma of Poverty and Depression: Examination of Interpersonal and Intrapersonal Mediators. *Journal of Social and Clinical Psychology*, 27(9), 903–930.
- [15] Haushofer, J. (2013). *The Psychology of Poverty: Evidence from 43 Countries*.
- [16] Tajfel, H., & Turner, J. C. (1986). The social identity theory of intergroup behaviour. In S. Worchel, & W. G. Austin (Eds), *Psychology of intergroup relations* (2nd ed.) (pp. 7-24). Chicago: Nelson-Hall.
- [17] Dobson, B. and Middleton, S. (1998) *Paying to Care: the Cost of Childhood Disability*. York: YPS for the Joseph Rowntree Foundation.
- [18] Schilbach, F., Schofield, H., & Mullainathan, S. (2016). The Psychological Lives of the Poor. *American Economic Review*, 106(5), 435-440.
- [19] ullock, HE, Williams, WR, Limbert, WM (2003) Predicting support for welfare policies: The impact of attributions and beliefs about inequality. *Journal of Poverty* 7: 35–56.
- [20] Clery, Elizabeth; Lee, Lucy and Kunz, Sarah (2013) *Public Attitudes to Poverty and Welfare, 1983-2011, analysis using British Social Attitudes Data*.
- [21] Borella, E., Carretti, B., Riboldi, F., and De Beni, R. (2010). Working memory training in older adults: evidence of transfer and maintenance effects. *Psychol. Aging* 25, 767–778.
- [22] Duncan et al., (2007). School Readiness and Later Achievement. *Developmental Psychology* Vol. 43, No. 6, 1428 –1446.
- [23] Mullainathan, S., 2011, 'The psychology of poverty', *Focus* 28(1), 19–22.
- [24] Maier, S. F., & Seligman, M. E. (1976). Learned helplessness: Theory and evidence. *Journal of Experimental Psychology: General*, 105(1), 3–46.
- [25] Gilbert, G. 1997. "[Adam Smith on the Nature and Causes of Poverty](#)," [Review of Social Economy](#), Taylor & Francis Journals, vol. 55(3), pages 273-291.
- [26] Bergeson T (2006). Race, poverty, and academic achievement. Available on <http://www.doh.wa.gov/SBOH/ESS/documents/Race&Poverty.pdf>.
- [27] Shafir, E. (2012). 'The psychological poverty trap', HAARETZ, Sunday November 18, 2012, Kislew 4, viewed 18 November 2012, from <http://www.haaretz.com> Streck, V.S., 2003.
- [28] Yoshikawa, H., Aber, J. L., & Beardslee, W. R. (2012). The effects of poverty on the mental, emotional, and behavioral health of children and youth: Implications for prevention. *American Psychologist*, 67(4), 272–284.
- [29] Winer A.C ., & Thimpson, R. (2015). *How Poverty and Depression Impact a Child's Social and Emotional Competence* - UC Davis Center for Poverty Research.

სურათის ოდენობა: 1

დიაგრამების ოდენობა: 1

Article received 2022-01-19